საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 56

24 01 2018 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის, მარინე ჟვანიას, 2018 წლის 22 იანვრის №51382 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, „კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერისათვის მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ" მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 4 თებერვლის №4 ბრძანებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2018 წლის 25 იანვრიდან 2018 წლის 29 იანვრის ჩათვლით, გამოცხადდეს კონკურსი სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის შერჩევის მიზნით.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული პოზიციის მიმართ დადგინდეს შემდეგი შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) მინიმალური განათლება - ბაკალავრი;

ბ) სამუშაო გამოცდილება - მინიმუმ 5 წელი;

გ) კომპიუტერული პროგრამების (Ms.Word, Ms. Excel, Ms.Power Point, Outlook.) კარგად ცოდნა;

დ) ინგლისური ენის კარგად ცოდნა;

ე) სასურველია ჰქონდეს გამოცდილება შემდეგ სფეროებში: ინფორმაციული ტექნოლოგიები, მენეჯერული, პროექტებისა და მართვის სტანდარტების დანერგვა;

ვ) სერტიფიკატები - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO), სტანდარტიზაციის ბრიტანული ინსტიტუტის (BSI) ან ინფორმაციული სისტემების აუდიტისა და კონტროლის ასოციაციის (ISACA) მიერ გაცემული სერტიფიკატი ინფორმაციული უსაფრთხოების დარგში; IT Infrastructure Library (ITIL) ექსპერტის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

იმ შემთხვევაში, თუ შერჩეულ კანდიდატს არ გააჩნია მოთხოვნილი სერტიფიკატებიდან ერთ-ერთი, მაშინ ცენტრი კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატის მონაცემებს და განცხადებას უგზავნის მონაცემთა გაცვლის სააგენტოს. სააგენტო შერჩეული კანდიდატის ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით ცოდნის, კომპეტენციისა და გამოცდილების შეფასება-დადასტურებას ახდენს ტესტირების საფუძველზე. მონაცემთა გაცვლის სააგენტო ცენტრს 5 სამუშაო დღის განმავლობაში აცნობებს ტესტირების თარიღს. ტესტირების პასუხები ტესტირებიდან 5 სამუშაო დღეში ეცნობება როგორც კანდიდატს, ასევე ცენტრს.

3. სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ბ) მგს 27001:2011 სტანდარტი;

გ) „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონი;

დ),,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი;

ე) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის № 89/ნ ბრძანება.

4. სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის ფუნქციებია:

ა) ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის პროექტის მომზადება და განხორციელება მგს 27001:2011 სტანდარტის და „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

ბ) ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის მინიმალური მოთხოვნების შესრულების კოორდინირება;

გ) ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნების შესრულების ყოველდღიური მონიტორინგი;

დ) ინფორმაციული აქტივებისა და მათი წვდომის აღწერის უზრუნველყოფა;

ე) ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დოკუმენტაციის (პოლიტიკის, პროცედურების, სახელმძღვანელოების) მომზადების, განხილვის, დამტკიცებისა და გადახედვის პროცესის კოორდინაცია;

ვ) ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების შესახებ ინფორმაციის შეგროვების კოორდინაცია და მათზე რეაგირების მონიტორინგი;

ზ) ინფორმაციული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის შედგენა და ამ გეგმის შესრულების შესახებ ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა ანგარიშვალდებულ პირებთან;

თ) ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე ანგარიშგება და სხვა სახის ადმინისტრაციული/საორგანიზაციო საქმიანობის წარმართვა;

ი) გადაწყვეტილების მიღება მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დახმარების ჯგუფის მიერ ორგანიზაციის ინფორმაციული აქტივის, ინფორმაციული სისტემის ან/და ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაში შემავალი საგნის წვდომის შესაძლებლობის/შეუძლებლობის შესახებ;

კ) ცენტრის თანამშრომლებისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების ზოგადი და დარგობრივი ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება;

ლ) ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის პროცესის ხელშეწყობა;

მ) საჭიროების შემთხვევაში, სამსახურის უფროსის დავალებით, საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

5. სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:

ა) ეფექტური კომუნიკაცია;

ბ) ანალიტიკური აზროვნება;

გ) დროის ეფექტურად მართვა;

დ) გუნდში მუშაობა.

6. სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე,

7. სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge - ზე, აუცილებლად უნდა გამოაგზავნოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში).

8. კანდიდატის ავტობიოგრაფია უნდა ადასტურებდეს კანდიდატის შესაბამისობას ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. აუცილებელია კანდიდატმა მიუთითოს 2 რეკომენდატორის სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი.

9. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

10. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი თამარ სანიკიძე